

რუსული რბილი ძალა საქართველოში:

პოლიტიკა და ნარატივები

სანათა ბულია

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ევროპისმცოდნეობის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით დარჩიაშვილი,

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სანათა ბულია, 2016”.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში რუსეთის რბილი ძალის პოლიტიკისა და ნარატივების შესწავლა იმ სპეციფიური მიგნებებით რაც დაკავშირებულია რუსული „რბილი ძალის“ ერთერთ მნიშვნელოვან შემადგენელთან, კერძოდ აღნიშნული პოლიტიკის ნარატივებთან. საერთაშორისო თეორიების ანალიზის ქრილში აღნიშნული პოლიტიკის მახასიათებლების განსაზღვრა. ნარატივების ფორმირების პროცესისა და გავლენის მქონე ფაქტორების აღწერა.

აღნიშნული ნარატივები არა მხოლოდ ქვეყნის საგარეო კურსის კორექტირებისაკენ, არამედ დასავლური ტიპის ლიბერალ-დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისა და ინსტიტუტების წინააღმდეგ მიმართული ალტერნატიულ ნორმებს სთავაზობს ქართულ საზოგადოებას, რასაც გარდა სტრატეგიული და საგარეო პოლიტიკური მნიშვნელობისა, საკუთარი შიდა სოციო-პოლიტიკური განზომილება გააჩნია.

ნაშრომი ამასთან ცდილობს საკუთარი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ თეორიულ დებატებში. კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობების სხვა თეორიებისგან განსხვავებით, რომლებიც მატერიალური ხასიათისაა, კვლევა ეფუძნება სოციალურ კონსტრუქტივიზმს საერთაშორისო ურთიერთობებში. სოციალური კონსტრუქტივიზმით ფოკუსირდება ძირითადად ადამიანის შემეცნება-აღქმაზე და იდეებზე საერთაშორისო პოლიტიკაში.

კონსტრუქტივიზმი ყურადღებას ექცევა ისეთ ფაქტორებს, როგორც არის კულტურა, ნორმები, ღირებულებები, იდენტობა და ა.შ. საერთაშორისო ურთიერთობების სხვა თეორიებისგან განსხვავებით, რომლებიც მატერიალური

ხასიათისაა, სოციალური კონსტრუქტივიზმი ფოკუსირდება ძირითადად ადამიანის შემოქმედება-აქტმაზე და მის ადგილზე.

წინამდებარე კვლევა სწორედ კონსტრუქვისტულ არგუმენტებზე დაფუძნებით ავითარებს საკუთარ დაშვებებს და რუსეთის „რბილი ძალის“ პოლიტიკის ფორმირებისას სწორედ იდეებსა და იდენტობაზე აკეთებს აქცენტს.

აღნიშნული მიზეზები განაპირობებს კვლევის აქტუალობასა და მნიშვნელობას, როგორც პრაქტიკული პოლიტიკის დონეზე ასევე აკადემიური თვალსაზრისით. შესაბამისად, კვლევა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელი „რუსული რბილი“ ძალის შესახებ ცოდნის გამდიდრებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: რბილი ძალა, რუსეთის საგარეო პოლიტიკა, იდენტობა, კონსტრუქტივიზმი, ნარატივები.

Abstract

The goal pursued in this essay is to contribute to the growing literature and understanding of Russia's soft power. The research is subsequently concentrated on identifying the narratives and politics being produced by Russia. Moreover, since the soft power is increasingly understood as a separate mean of foreign policy-making, it is being analysed within the theoretical suggestions made by Constructivism in International Relations, with the emphasis placed on the underlying reasons of soft-power narratives and policy formation.

Russian soft power politics and narratives suggest the specifics, which are not simply limited and directed against the competing western liberal-democracies and their characteristic values and institutions, but offer a diametrically different model of development,

together with the ensuing alternative strategic and political solutions which also promotes alternative models of socio-political organization.

The research aims to contribute to theoretical debates on International Relations by concentrating on analysis of the “soft power”. Namely, in seeming difference with other traditional theories of IR, which are object-specific, that is they are mainly state centric, Constructivism in International Relations concentrates on non-material factors like ideas, identities, values and norms.

The study therefore, is based on constructivist theory and develops arguments which trace the formative process of Russia’s soft power policy mainly based on ideas and identities.

The reasons provided account for actuality of the study and contribute to on-going debates on soft power in international relations.

Key Words: Soft Power, Russian Foreign Policy, Identity, Narratives, Constructivism.